სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების წესი

1. ეს წესი განსაზღვრავს სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების წესსა და პირობებს.

2. აკადემიაში სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით, აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, აგრეთვე, აკადემიის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია მოწვეულ იქნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

3. მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღება ხორციელდება, რექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სარეკომენდაციო დასკვნის და სპეციალისტთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, რექტორის ბრძანების საფუძველზე.

4. კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით, რომელითაც განისაზღვრება კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და კონკურსის პირობები. ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა განთავსდეს აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე და გამოცხადდეს საჯაროდ აკადემიის შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია. კომისია უზრუნველყოფს კანდიდატთა განაცხადების მიღებას საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ ვადებში.

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:

ა) კონკურსის პირველ ეტაპზე მოწმდება თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობა საკონკურსო მოთხოვნებთან და კანდიდატის პროფესიული ცოდნა და უნარები.

ბ) კონკურსის პირველი ეტაპის გავლის შემდეგ კონკურსანტი გადის გასაუბრებას საკონკურსო კომისიასთან, რომლითაც დგინდება მისი კომპეტენციის ფლობის დონე დასაკავებელი თანამდებობის სპეციფიკასთან.

7. კომისია უფლებამოსილია პროფესიული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსთხოვოს კონკურსანტს ისეთი აქტივობების ჩატარება რომელიც საჭიროა კონკურსანტის სრულყოფილად შეფასებისათვის.

8. მოწვეული სპეციალისტის სამსახურში მიღება, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კონკურსის ჩატარების გარეშე აკადემიის რექტორის ბრძანებით.

9. ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მიმღები ორგანოს გადაწყვეტილებით.